ხელშეკრულება № 18 / 05
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 20 იანვარი 2014 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1. ერთის მხრივ, სსიპ №62-ე საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), მისი დირექტორის თამარ მალაზონიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზირებული ეპიდზედამხედველობის ცენტრი" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის ეკატერინე ნონიაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანია დერატიზაციის და დეზინსექციის მომსახურების ანაზღაურება _____ ბიუჯეტის სახსრებიდან. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტია მომსახურების სფერო (დერატიზაცია, დეზინსექცია).

საშუალოს დასახელება	ფიზიკური ფართობი	ზომის ერთეული	დამუშავების ჯერადობა წელიწადში	ოპერატიული ფართობი	ზომის ერთეულის დამუშ. ფასი	სულ ოპერატ ფართობის დამუშავების ღირ-ბა
1. დეზინფექცია	–	–	–	–	–	–
2 დერატიზაცია	2000	$მ^2$	10-ჯერ	20000	0,025	500
3. დეზინსექცია საყოფ. მწერების წინააღმდეგ	–	–	–	-	–	–
4. ვნოს სანიტარული დანადგარების დეზინსექ.	–	–	–	–	–	–
5. სულ						500

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

4.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი თვეში 50 (ორმოცდაათი ლარი) ლარი.

4.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი ლარი) ლარს დღგ-ს გარეშე

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2014 წ 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია:

6.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი აქტი-განრიგი და ანგარიშფაქტურა).

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

8.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

8.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

9.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- გამოყოს პასუხისმგებელი პირი, რომელიც გააკონტროლებს მიმწოდებლის მიერ ჩატარებულ სამუშაოებს და ხელმოწერით დაადასტურებს წარმოდგენილ დოკუმენტს;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

9.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დროულად უზრუნველყოს სამუშაოთა სათანადო ხარისხი და ეფექტურობა;
- შეისწავლოს ობიექტი სანტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სამუშაოთა ეფექტურობის ამაღლების მიზნით. მიმწოდებლის მიერ მიცემული წინადადების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი იხსნის პასუხისმგებლობას პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ეფექტურობაზე ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

შენიშვნა : ა) მღრღნელთა წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ხელშეკრულებაში უნდა შევიდეს როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ფართობი : სარდაფები, საკუჭნაოები, დერეფნები, კიბის ტიხარი და სხვა დამხმარე სათავსოები.

ბ) შენობაში, სადაც ვერ იქნა უზრუნველყოფილი მღრღნელშეუვალობა და სათანადო სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა, რაც უარყოფითად მოქმედებს პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ეფექტურობაზე, არ შეიძლება ჩაითვალოს მიმწოდებლის უხარისხო მუშაობად.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო

ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს (----------, ---------- შესყიდვების კოორდინატორი)

15.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

15.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ №62-ე საჯარო სკოლა
შარტავას ქ. №20
ტელ : 237-12-75

დირექტორი

თ. მალაზონია

მიმწოდებელი:

შპს „დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზირებული ეპიდზედამხედველობის ცენტრი"
ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №8
ტელ: 239-82-15; 239-82-17.
ვითიბი ბანკი ჯორჯია
საბურთალოს სერვისცენტრი
კოდი UGEBGE22 [illegible] 241327410
ა/ა № GE62VT7000000058613602
დირექტორი
ე. ნონიაშვილი